

საექონო სავა



B1+

სავარჯიშო
რვაული

2018



ქვანდას
სკოლა

მედიცინა

საპარტიზო რეჟიმი

B1+

**„მედიცინა“ – B1+
სავარჯიშო რვეულზე მუშაობდნენ:**

**ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
თამარ შარაბიძე**

**დარგობრივი ექსპერტი:
ლევან გოფოძე**

**ავტორები:
თამარ შარაბიძე
ნანა გონაძილაშვილი
გიორგი უგულავა**

**რედაქტორები:
თამარ შარაბიძე
ნანა გონაძილაშვილი**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „New and Grand“-ში

ISBN 978-9941-8-0872-2

შინაარსი

თავი I	მედიცინის მნიშვნელობა.....	5
ნაწილი I.	რა არის მედიცინა?.....	5
ნაწილი II.	მედიცინის სიმბოლოები.....	10
ნაწილი III.	მედიცინის ისტორია.....	16
თავი II	სამედიცინო ინფრასტრუქტურა.....	21
ნაწილი I.	ჯანდაცვა.....	21
ნაწილი II.	სამედიცინო დაწესებულებები.....	27
ნაწილი III.	მედიცინის მუშაკები.....	33
თავი III	მედიცინის დარგები.....	39
ნაწილი I.	მედიცინის დარგთა კლასიფიკაცია.....	39
ნაწილი II.	მედიცინის სამი ძირითადი დარგი.....	45
ნაწილი III.	პალიატიური მკურნალობა და ჰოსპისი.....	51
თავი IV	მედიცინის მთავარი მიმართულებები.....	57
თავი IV	65
	შუალედური შემოწმების ტესტი.....	65
თავი V	პირველადი სამედიცინო დახმარება.....	70
ნაწილი I.	რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება.....	70
ნაწილი II.	სისხლდენა.....	76
ნაწილი III.	დამწვრობა და მოყინვა.....	82

თავი VI	რეანიმაციის ზოგადი საკითხები 87
ნაწილი I.	გულის გაჩერება და გულის დახურული მასაჟი.....87
ნაწილი II.	ხელოვნური სუნთქვა.....93
ნაწილი III.	მძიმე ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების სიცოცხლის გადარჩენაATLS.....99
თავი VII	ავადმყოფის გამოკვლევა. კურორტები.....104
ნაწილი I.	გამოკვლევის მეთოდები.....104
ნაწილი II.	სამედიცინო აღჭურვილობა.....109
ნაწილი III.	სამკურნალო კურორტები, სამკურნალო პროცედურები.....117
თავი VIII	ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში
	ქართული ენა და მედიცინა.....123
VIII თავი	
	შუალედური შემოწმების ტესტი130

ტაპი I

მედიცინის მნიშვნელობა

ნაწილი I

რა არის მედიცინა?

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1.....	ნიშნავს საექიმოს.
2.	მექანიკური ზემოქმედების საშუალებით მკურნალობა.
ჰომეოპათია	3.....
შრომისუნარიანობა	4.
5.	დაავადების გამოვლინება სხვადასხვა სამედიცინო საშუალებით.

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	მედიცინა მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას უკავშირდება.		✓
1	დაავადებათა დიაგნოსტიკა ავადმყოფობის გამოვლენას ნიშნავს.		
2	„პაციენტი“ მხოლოდ დაავადებულ ადამიანს ეწოდება.		
3	არატრადიციული მედიცინის სახეებია: აკოპუნქტურა, ტიბეტური მედიცინა, ჰომეოპათია, დიაგნოსტიკა.		
4	პაციენტს პროფილაქტიკა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩაუტარდეს.		
5	ექიმი ავადმყოფს ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებულ წამლებს უნიშნავს.		
6	„მედიცინა“ ბერძნული სიტყვაა, მაგრამ მისი გავრცელება და დამკვიდრება ჩინეთს უკავშირდება.		

1.3. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები:

ა.

N	როგორი?	რა?
	ჯანმრთელი →	ჯანმრთელობა
1	ხანგრძლივი →	
2	ავადმყოფი →	
3	ფეხმძიმე →	
4	მოტეხილი →	

ბ.

N	როგორი?	რა?
	ხანგრძლივი →	გახანგრძლივება
1	ვრცელი →	
2	შეწუხებული →	
3	გალიზიანებული →	
4	გამწარებული →	

1.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა:

ნიმუში: ექმის ცოდნასა და ...გონიერებას... ავადმყოფის განკურნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.
[გონიერება]

- ექიმების მიმართ შიშმა თქვენს შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს.
[ჯანმრთელობა]
- შესაძლოა ავადმყოფის მდგომარეობა დაამძიმოს. [გალიზიანება]
- ექიმის და შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული ავადმყოფის განკურნება. [ნიჭიერება]
- მედიცინის დარგში სამეცნიერო მუშაობა მრავალ ავლენს. [ჭეშმარიტება]
- ჰიპოკრატეს ფიცი პაციენტის მიმართ კრძალავს. [გულგრილობა]
- დასნეულებული მკურნალის სხვა ექიმი სჭირდება. [გაჯანსაღება]
- ავადმყოფობის პაციენტის ნერვიულობა მოჰყვება. [გახანგრძლივება]

1.5. ებიანი მრავლობითი ფორმები შეცვალეთ თანხანით:

ნიმუში: დაავადებების აღმოჩენა და მკურნალობა მედიცინის მთავარი მიზანია.

... დაავადებათა აღმოჩენა და მკურნალობა მედიცინის მთავარი მიზანია ...

1. ექიმმა **პაციენტების** ჩივილებს ყურადღებით უნდა მოუსმინოს.

.....

2. დიაგნოსტიკით იწყება **ავადყოფების** ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

.....

3. უნივერსიტეტში მედიცინის **მუშაკების** დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდა.

.....

4. **ადამიანების** ჯგუფი ვირუსული ინფექციით დაავადდა.

.....

5. სამედიცინო სფეროში ახალი **მეთოდების** დანერგვა აუცილებელია.

.....

6. **ჰომეოპათების** მკურნალობით ბევრი ადამიანი გამოჯანმრთელდა.

.....

7. პასიური ცხოვრების წესი **სისხლძარღვების** პრობლემებს იწვევს.

.....

8. სახელმწიფო კანონით იცავს პასიური **მწველების** უფლებებს.

.....

9. საქართველოში **უშვილოების** მკურნალობას დიდი ყურადღება ექცევა.

.....

10. მშობლებს **ბავშვების** აცრების კონტროლი ევალებათ.

.....

1.6. ააგეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:

ნიმუში: ...დიდი ხანია, ველოდები ექიმთან მიღებას... [დიდი ხანია]

1. [ცოტა ხანია]

2. [დიდი ხანი]

3. [დიდ ხანს]

4. [ცოტა ხანი]

5. [ცოტა ხანს]

1.7. უპასუხეთ კითხვებს და შეავსეთ გამოტოვებული უჯრები:

რამდენ ხანს?	რამდენი ხანი?	რამდენი ხანია?
ხუთ წელიწადს		
	ექვსი თვე	
		სამი კვირაა
	ორი საათი	
		ოთხი დღეა
	მთელი ღამე	

1.8. წინადადებები გადაიყვანეთ კითხვით ფორმაში:

ნიმუში: ერთი კვირა მეონდა სიცხე.

... რამდენი ხანი გქონდა სიცხე?...

1. კარგი ექიმი რომ გახდეს, მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ისწავლოს.

.....

2. სამი წელია, რაც გულის ოპერაცია გავიკეთე.

.....

3. კბილის ექიმი მთელი დღე სკამზე ზის.

.....

4. ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია საქართველოში ცოტა ხნის წინ დაიწყო.

.....

5. ჩემი გამოკვლევა ხუთი საათი გაგრძელდა.

.....

6. სამედიცინო დაზღვევის ფორმას რამდენიმე წუთში ავსებენ.

.....

1.9. უპასუხეთ კითხვებს წერილობით:

ა. რამდენ ხანს გაგრძელდა მამაშენის ოპერაცია?

.....

ბ. რამდენი ხანია, რაც ექიმთან არ ყოფილხარ?

.....

გ. რამდენი წელი დაგრჩა სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრებამდე?

.....

დ. რამდენ ხანს უნდა ელოდო ექიმთან ჩაწერას?

.....

ე. რამდენი დღეა, რაც თავის ტკივილი გაწუხებს?

.....

მედიცინის სიმბოლოები

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მნიშვნელობა
1.	საგნის, მოვლენის, მოქმედების აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი, რომელიც რაიმე ცნებას ან იდეას გამოხატავს.
აქტივისტი	2.
3.	ძალიან მნიშვნელოვანი
უკვდავება	4.

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ძველად მედიცინის ღმერთს ერქვა ზევსი.		✓
1	მედიცინის ღმერთი ესკულაპი მოკვდავი ადამიანი იყო.		
2	ესკულაპმა გველის მიტანილი ბალახით ადამიანი განკურნა.		
3	ჰიგიამ მეცნიერული ნაშრომებით გაითქვა სახელი.		
4	მედიცინის ერთ-ერთ სიმბოლოზე გამოსახულია გველი, რომელიც შემოხვეულია ვაზზე.		
5	შუასაუკუნეებში მოღვაწე ექიმი ავიცენა წარმოშობით ქართველი იყო.		
6	საერთაშორისო ჰუმანიტარული მოძრაობის სიმბოლოებზე გამოსახულია წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე.		
7	საერთაშორისო ჰუმანიტარული მოძრაობის ერთადერთი მიზანია ომში დაჭრილი მებრძოლების გადარჩენა.		

2.3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: პაციენტისადმი ექიმის მიერგამოჩენილმა ყურადღებამ..... გამოაცა. [გამოჩენილი ყურადღება]

1. კარგი ექიმის მკურნალობამ შეუნარჩუნა სიცოცხლე. [მრავალი ადამიანი]
2. თასზე გამოსახულება მედიცინის ერთ-ერთი სიმბოლოა. [შემოხვეული გველი]
3. ომის დროს წითელი ჯვრის ექიმები ბრუნავენ გადარჩენისა და მათი მშვიდობიანი გამოყვანისთვის. [დაჭრილი მეომრები]
4. მკურნალობის ახალი ექიმმა გაითქვა სახელი. [საშუალებების დანერგვა]
5. მედიცინის სფეროში გამოჩენილი გამო რამდენიმე ექიმი დააჯილდოვეს. [ფასდაუდებელი წვლილი]
6. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზეორგანიზაცია მოქმედებს. [წითელი ჯვარი]
7. მედიცინის საერთაშორისო ჰუმანიტარული თავისი თავდადებით გაითქვა სახელი. [მოძრაობის აქტივისტი]
8. ესკულაპეს ღმერთებისგან სამკურნალო საქმეში გამო უკვდავება მიენიჭა. [მიღწეული დამსახურებები]

2.4. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით:

ნიმუში: ...მიწიერმა ადამიანმა... ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის უნდა იბრუნოს.

[მიწიერმა ადამიანმა]

ა.

[სახელგანთქმულმა ექიმებმა]

ბ.

[ძველბერძნული მითოლოგიით]

გ.

[უკვდავების მოპოვება]

დ.

[ფასდაუდებელ წვლილს]

ე.

[დაჭრილის განკურნება]

2.5. შეადგინეთ წინადადებები ზმნებით: უზრუნველყოფს, უკვდავყოფს, ცხადყოფს. გამოიყენეთ ახლანდელი და წარსული დრო.

ნიმუში: ავადმყოფის განკურნება ცხადყოფს, რომ მურნალობა სწორად ჩატარდა.
ან:
ექიმებმა ცხადყვეს, რომ პაციენტის ოპერაცია გართულდა.

- 1.....
- 2.....
- 3.....
- 4.....
- 5.....

2.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: გაცოცხლება, მინიჭება, ზრუნვა, დამკვიდრება, პოვნა.

- 1. ექიმის ტკბილი სიტყვა სნეულს სიხარულს
- 2. ადამიანს რწმენა, იმედი და სიყვარული
- 3. თუ ავადმყოფი ეძებს, ის აუცილებლად გამოჯანმრთელების გზას.
- 4. ექიმები პაციენტებზე და მათი გამოჯანმრთელება სურთ.
- 5. მან თავისი დამსახურების გამო კარგი მკურნალის სახელი.

2.7. ა) ხაზგასმული სიტყვები დაუკავშირეთ ზმნებს და ამოწერეთ ისინი.

ნიმუში: წითელი ჯვრის აქტივისტებს საერთო მიზანი აერთიანებთ.
.....აქტივისტებს აერთიანებთ.....

1. ღმერთებმა ავიცენას უკვდავება მიანიჭეს.
.....
2. ავადმყოფმა მკურნალობისთვის ექიმს მაღლობა გადაუხადა.
.....
3. საავადმყოფომ დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი დანერგა.
.....
4. პაციენტმა დიდ ხანს იავადმყოფა.
.....
5. ახალმა მედიკამენტმა მრავალ ადამიანს გაუხანგრძლივა სიცოცხლე.
.....
6. მედიცინის მუშაკებმა ავადმყოფის კარგი მოვლა უზრუნველყვეს.
.....

ბ) ამოწერილი წყვილები გადაიყვანეთ მომავალ დროში; უპასუხეთ კითხვას: რას იზამს?

ნიმუში: ღმერთებმა მიანიჭეს --- ღმერთები მიანიჭებენ.

1.
2.
3.
4.
5.

2.8. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: სამწუხაროდ; საბედნიეროდ.

ნიმუში: სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტში ვერ მივდივარ.

ან:

საბედნიეროდ, დღეს საქართველოში მედიცინას დიდი ყურადღება ეთმობა.

1.

2.

3.

4.

2.9. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ნიმუში: ექიმს, ...რომელმაც... დაარღვია ეთიკის წესი, დროებით შეუჩერდა მუშაობის უფლება.

1. მკურნალობის მეთოდები, საავადმყოფოშია დანერგილი, სახელმწიფოს მიერ ნებადართულია.
2. ავადმყოფებს არ მოსწონთ საავადმყოფო, ქალაქის გარეუბანშია.
3. მედიცინა იყენებს სიმბოლოებს,საცოველთაო აღიარება მოიპოვეს.
4. მედიკამენტები, აფთიაქებში იყიდება, სერტიფიცირებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.
5. ძველბერძნულ მითოლოგიაში მოთხრობილია ამბები, გამოჩენილ მკურნალებს უკავშირდება.
6. წამლები, ვმკურნალობ, ძალიან მომიხდა.
7. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, კარგად სწავლობენ, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ.
8. სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოელმა სტუდენტებმა, საქართველოში ცოტა ხნის წინ ჩამოვიდნენ, ქართული ისწავლეს.

2.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: შესახებ და გამო.

ნიმუში: სახელმწიფომ სამედიცინო მომსახურების ...შესახებ... ახალი კანონი მიიღო.

1. იცოდე, შენი ავადმყოფობის სახლში არ დავრჩები.
2. ექიმო, თქვენს ბევრი კარგი მსმენია.
3. ამ ავადმყოფობის ინტერნეტში ბევრი რამ წერია.
4. მედიკამენტებით უკანონო ვაჭრობის ერთი პირი დააკავეს.
5. მედიცინის სიმბოლოთა მითოლოგიაში საინტერესო ამბებია მოთხრობილი.
6. პაციენტთა უფლებების დარღვევის ექიმს შენიშვნა მისცეს.
7. მედიცინაში ფასდაუდებელი წვლილის ექიმი დააჯილდოვეს.
8. პაციენტს თბილისის სავადმყოფოების ყველანაირი ინფორმაციის მიღება შეუძლია.
9. სახელგანთქმული ექიმის პრაქტიკული საქმიანობის მრავალი წერილი დაიბეჭდა.

2.11. გაასწორეთ შეცდომები:

ნიმუში: შენს გამო სამედიცინო უნივერსიტეტის კონფერენციაში მონაწილეობა ვერ მივიღე.
შენ გამო.....

1. შენს შესახებ ექიმს ყველაფერს მოვუყვები.

2. ყველაფერი გავიგე თქვენს შესახებ და საავადმყოფოში მარტო არ დავტოვებთ.

3. ჩემს გამო არ შეწუხდე, სიცხე მალე დამიწევს.

4. კარგად იცი, ჩემს გამო ექიმთან მისვლა არ დაგაგვიანდება.

5. ჩვენს შესახებ სამედიცინო უნივერსიტეტში ბევრს ლაპარაკობენ.

3.1. შესწავლილი ტექსტებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მნიშვნელობა
მითური	1.
ანტიკური	2.
3.	რომანის ერთ-ერთი მოქმედი პირი
4.	ზნეობრივი

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	მედეა იყო უძველესი კოლხეთის მეფის, ფარნავაზის, ქალიშვილი.		✓
1	ტერმინი „მედიცინა“ მომდინარეობს ავიცენას სახელიდან.		
2	ანტიკური სამყარო შუა საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება.		
3	ბერძენ ჰიპოკრატეს, რომელმაც იმ პერიოდის მედიცინის მიღწევები შეისწავლა, ექიმი მშობლები ჰყავდა.		
4	ყველა ექიმი დებს „ჰიპოკრატეს ფიცს“, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე არ უნდა დაარღვიოს.		
5	ჰიპოკრატეს დიდი ღვაწლის მიუხედავად, ტრადიციული მედიცინის მამამთავრად მედეა ითვლება.		
6	მედეა არა მარტო კურნავდა, მოხუცებს აახალგაზრდავებდა და ახლადგარდაცვლილებს აცოცხლებდა კიდევ.		
7	კოლხ მედეასთან ადგილობრივი მოსახლეობის გარდა სამკურნალოდ უცხოელი პაციენტებიც მიდიოდნენ.		

3.3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: მედიცინის შესახებანტიკურ სამყაროს..... ბევრი თქმულება აქვს. [ანტიკური სამყარო]

1. ექიმი ბევრ სასარგებლო რჩევას აძლევს. [ადგილობრივი მოსახლეობა]
2. დირექტორის მიერ საავადმყოფოს დიდი წარმატება მოუტანა. [შემუშავებული პრინციპები]
3. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ჰიპოკრატეს ემზადებიან. [ფიცის დადება]
4. ევროპის ბევრი ქვეყანა გამოირჩევა. [მედიცინის მიღწევები]
5. ყველა ადამიანი ნატრობს [სიჭაბუკის დაბრუნება]
6. ყველა ექიმი არაა დაჯილდოვებული [მკურნალობის ნიჭი]
7. ვფიქრობ, ამ კიდევ ბევრ ფილმში წარმოაჩენენ. [მითოლოგიური პერსონაჟი]
8. ძალიან მარტივად შეუძლია მსოფლიო მედიცინის მიღწევების გაცნობა. [თანამედროვე მეცნიერი]

3.4. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით:

ნიმუში: ეს ნორმა დადგენილი წესივით მოქმედებს.

1.
[ადგილობრივი მოსახლეობასავით]
2.
[მედიცინის მუშაკივით]
3.
[თანამედროვე მეცნიერივით]
4.
[მითური თქმულებებივით]
5.
[სახელგანთქმული ექიმივით]

3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები:

ნიმუში: კარგი იქნება, ...*ჩემსავით*... ექიმის არ გემინოდეს. [ჩემ]

1. სამედიცინო საქმეში ნიჭიერი ბევრი არ მოიძებნება. [თქვენ]
2. ძველ სამყაროში განვითარებული ქვეყანა ცოტაა. [კოლხეთი]
3. იმედი მაქვს, ექიმთან არ მოიქცევი. [მას]
4. ნათელია, რომ დიდხანს იცოცხლებ. [დღე]
5. ამ პაციენტს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. [შენ]
6. ეს პროცესი ვრცელდება. [დაავადება]
7. მინდა, სახელგანთქმული ექიმი გავხდე. [თქვენ]
8. კარგად დაავადებების დიაგნოსტიკას ვერავინ ახდენს. [ჩვენ]

3.6. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: აცოცხლებდეს, მკურნალობდეს, აჯანსაღებდეს, ზრუნავდეს.

ნიმუში:

მე უნდა ვასწავლიდე	ჩვენ უნდა ვასწავლიდეთ
შენ უნდა ასწავლიდე	თქვენ უნდა ასწავლიდეთ
ის უნდა ასწავლიდეს	ისინი უნდა ასწავლიდნენ
მე უნდა ვაცოცხლებდე	ჩვენ უნდა
შენ უნდა	თქვენ უნდა
ის უნდა	ისინი უნდა
მე უნდა ვმკურნალობდე	ჩვენ უნდა
შენ უნდა	თქვენ უნდა
ის უნდა	ისინი უნდა
მე შეიძლება ვაჯანსაღებდე	ჩვენ შეიძლება
შენ შეიძლება	თქვენ შეიძლება
ის შეიძლება	ისინი შეიძლება
მე შეიძლება ვზრუნავდე	ჩვენ შეიძლება
შენ შეიძლება	თქვენ შეიძლება
ის შეიძლება	ისინი შეიძლება

3.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები; უპასუხეთ კითხვებს: რას შვრებოდეს? რას შვრებოდნენ?

ნიმუში: ჰიპოკრატეს მოსწავლეები მკურნალობის წესებსაღწერდნენ..... [აღწერდა]

1. ეს პაციენტი ბალახებისგან დამზადებული წამლებით უნდა [მკურნალობდა]
2. პაციენტი ექიმის რჩევებს რომ არ, ვერ მორჩება. [ისმენდა]
3. მედიცინაში მიღებული მორალურ-ეთიკური ნორმები ექიმის ყველა ქცევას უნდა [აწესრიგებდა]
4. საავადმყოფოს მუშაკები მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე უნდა [ზრუნავდა]
5. საყოველთაო დაზღვევა რომ არ, ეს ადამიანი ვერ გადარჩებოდა. [არსებობდა]
6. ნეტავ, ეს პაციენტი არ [კვდებოდა]
7. ეს მედიკამენტი შეიძლება, სხვა დაავადებასაც [იწვევდა]
8. ხანგრძლივ მკურნალობას კარგი შედეგი უნდა [ჰქონდა]
9. ყველა ექიმი ჰიპოკრატეს ფიცს რომ, უკმაყოფილო პაციენტი არ იქნებოდა. [იცავდა]
10. ყველაფერი გააკეთე, მკურნალობა რომ [გრძელდებოდა]
11. ჯანმრთელობის სამინისტრო ექიმთა და პაციენტთა უფლებების დაცვაზე უნდა [ზრუნავდა]

გული წაუვიდა – გონება, გრძნობა დაკარგა.
გული გადაუშალა – საიდუმლო გაანდო.
გული ამოუვარდა – გულისცემა ძალიან გაუხშირდა.
გული მოუღობო – გაბრაზებული დაამშვიდა.
გული ეტკინა – ეწყინა.

3.8. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები:

ნიმუში: პაციენტს ექიმის უხეში საუბარი გულს ტკენს.

1.
[გული წაუვიდა]
2.
[გული გადაუშალა]
3.
[გული ამოუვარდა]

მადისინა

4.
[გული მოუღობო]

5.
[გული დაწყდა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები:

ნინომასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ ექიმთან მიიქაროდა. ბოლოდროს ნინოს რამდენჯერმე , სისუსტესაც გრძნობდა, მალე იღლებოდა. ნინომ საავადმყოფოს კიბეები აირბინა და სიჩქარისაგან ცოტა რომ დამშვიდდა, ექიმს თავის მდგომარეობაზე ესაუბრა. მან მკურნალობა დაუნიშნა და ურჩია, რამდენიმე ხანს სკოლაში აღარ ევლო. ამ ამბავმა ნინოს

თავი II

სამედიცინო ინფრასტრუქტურა

ნაწილი I

ჯანდაცვა

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1.	სამკურნალო დაწესებულება, რომელიც საექიმო დახმარებას უწევს იქ მისულ და სახლში მყოფ ავადმყოფებს.
2.	სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებების თავიდან აცილება და მკურნალობა.
სოციალური დაცვა	3.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	4.
5.	სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომლის მიზანია დაავადებათა წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება.

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	სოციალური დაცვის სამინისტროს მიზანია ქართული ენის სიწმინდის დაცვა.		✓
1	კერძო სექტორი სახელმწიფოსგან იღებს დაფინანსებას.		
2	დაავადების თავიდან ასაცილებლად წინასწარ ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებები.		
3	გრიპის ვირუსის წინააღმდეგ ჯანდაცვის სამინისტრო ანტიეპიდემიურ სამუშაოებს ატარებს.		

4	პაციენტს ამბულატორიაში ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს.		
5	საავადმყოფო ქსელი ჯანდაცვის სამინისტროს დავალებით პაციენტებს კლინიკებში ანაწილებს.		
6	საავადმყოფოს ეკონომიკურ მდგომარეობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, პაციენტთა სიმრავლე განსაზღვრავს.		
7	საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველთათვის.		
8	ამბულატორია პაციენტებისათვის სპეციალურ საკვებ პროდუქტებს ამზადებს.		
9	საავადმყოფოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სამრეწველო ქარხნების ტერიტორიაზეა განთავსებული.		

1.3. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები:

N	რა? / ვინ?	როგორი?
	ექიმი →	საექიმო
1	ავთიაქი →	
2	პროცედურა →	
3	დიაგნოზი →	
4	დაბღვევა →	
5	ოპერაცია →	
6	მინისტრი →	
7.	დებინფექცია →	
8.	ავადმყოფი →	
9.	ბაზა →	
10.	მედიცინა →	

1.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში:ჯანდაცვის სამინისტროს... თანამშრომლები ახალ პროექტზე მუშაობენ. [ჯანდაცვის სამინისტრო]

1. კარგი შედეგი მოიტანა. [ანტიბიოტიკური სამუშაოები]

2. ბრძანებით ავადმყოფთა ნახვა სალამოს საათებშია შესაძლებელი. [საავადმყოფოს დირექტორი]
3. თბილისის საავადმყოფოების უმრავლესობა თანამედროვე არის აღჭურვილი. [მატერიალურ-ტექნიკური ბაზა]
4. ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. [კერძო სექტორი]
5. ამ დღეს მედიკამენტებზე ფასდაკლება აქვს. [სააფთიაქო ქსელი]
6. პაციენტს შვება მისცა. [ამბულატორიული მკურნალობა]

1.5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: არავინ, ნურავინ, ვერავინ, არაფერი.

ნიმუში: დღეს არავინ მიგიღიათ ამბულატორიაში?

1. ეგონება, რომ ექიმის გადაწყვეტილებას შევცვლი.
2. გაბედოს ავადმყოფთა სიმშვიდის დარღვევა!
3. მკურნალობის შეცვლა, ვფიქრობ, კარგს მოიტანს.
4. მამუკა ექიმი უნახავს?
5. იფიქროს, რომ ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობა ადვილია.
6. ეს პაციენტი ძალიან აქტიურია, მაგრამ აშავებს.
7. სანიტარული ნორმების დარღვევა ეპატიება.
8. მოუვა აზრად, კლინიკაში მისულ პაციენტს ყურადღება არ მიაქცის!
9. გამო, იმდენი ინერვიულა, რომ ნევროზი დაემართა.
10. ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ამდენი მუშაობა და ენერჯის ხარჯვა მიღირს.
11. მივცემ უფლებას, ექიმთან ურიგოდ შევიდეს!

1.6. წინადადებები გადაიყვანეთ კითხვით ფორმაში, გამოიყენეთ კითხვები: როდის? და როდინდელი?

ნიმუში: ბოლოდროინდელი გამოკვლევები დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა.

როდინდელი გამოკვლევები იძლევა დიაგნოზის დასმის საშუალებას?

1. ექიმები ხვალ დანიშნავენ ოპერაციის დღეს.

.....

2. ჯანდაცვის სამინისტროს გუშინდელმა გადაწყვეტილებამ ხალხი გაახარა.

.....

3. ექიმის თქმით, შარშანდელმა მკურნალობამ კარგი შედეგი გამოიღო.

.....

4. ანტიეპიდემიურ ღონისძიებებს მამვე იწყებენ.

.....

5. დაუშვებელია ავადმყოფის კვება გუშინდელი პროდუქტებით.

.....

6. მომავალ წელს კლინიკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები განახლდება.

.....

7. სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა ზევ იწყება.

.....

8. ექიმთან ხვალინდელმა ვიზიტმა ჩემი მდგომარეობა უნდა შეცვალოს.

.....

1.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა დასმული კითხვის მიხედვით:

ნიმუში: გივი ექიმი უნიკალური ოპერაციების ჩატარებისთვის ...დააჯილდოეს... [რა უქნეს? _ დაჯილდოება]

1. გადაწყვიტე, ხვალ გამოკვლევები [რა ვქნა? _ ჩატარება]

2. ექიმი პაციენტს მკურნალობას [რას იზამს? _ დანიშვნა]

3. ჯანდაცვის სამინისტრომ დარღვევები. [რა ქნა? _ გამოვლენა]

4. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურებმა დიდი სამუშაო [რა ქნეს? _ ჩატარება]

5. უმჯობესია ავადმყოფებზე , თორემ ცუდად წაგივათ საქმე. [რა ქნათ? _ ზრუნვა]
6. კერძო სექტორმა მკურნალობის ახალი მეთოდები უნდა [რა ქნას? _ დანერგვა]
7. არასწორი მკურნალობის გამო ექიმი [რა უქნეს? _ დასჯა]
8. გვეალებათ, თქვენი მოვალეობა , პაციენტებმა რომ არ იჩივლონ. [რა ქნათ? _ შესრულება]
9. სოციალურად დაუცველებს ყოველმხრივ [რას ვიზამთ? _ დახმარება]
10. ამბულატორიის მუშაკებმა დღეს იმდენი პაციენტი , რომ ერთი კვირის ნორმა შეასრულეს. [რა ქნეს? _ მიღება]

1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით -თან, -ში და -ზე თანდებულები:

ავადმყოფობამ ძლიერ შემაწუხა და გადავწყვიტე ექიმ..... წასვლა. კლინიკა..... ბევრი პაციენტი დამხვდა, ზოგი რეგისტრატურას..... იდგა, ზოგი _ მიმღებ..... იცდიდა. დიდხანს მომიწევდა ლოდინი, მაგრამ სახლ..... დაბრუნება არ მინდოდა. დრო რომ გამეყვანა, ჩემს ავადმყოფობა..... დავიწყე ფიქრი, ექიმ..... რომ შევიდოდი, რა ჩივილებ..... უნდა მესაუბრა. ჩემი სათქმელი გონება..... რომ ჩამოვაცალიბე, სწორედ მაშინ გამომიძახეს. დრო ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. კაბინეტ..... რომ შევედი, ვნერვიულობდი, ექიმ..... საუბარმა კი სრულიად დამამშვიდა. დავრწმუნდი, რომ ავადმყოფობა..... გამუდმებულ ფიქრს სჯობს, თავს მივხედოთ და არ გადავდოთ ექიმ.... ვიზიტი.

1.9. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:

ნიმუში: წარმატებულ ექიმთა გუნდი დღეს განსაკუთრებულ ოპერაციას აკეთებს. [გუნდი]

1.

[ბრბო]

2.

[ხალხი]

3.

[ახალგაზრდობა]

4.

[სტუდენტობა]

1.10. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ უჯრები:

N	რას შვრება? //რას იზამს?	რა?
	კერავს	კერვა
	ღებავს	ღებვა
1	ფლანგავს	
2	კვებავს	
3	ღეჭავს	
4	დამალავს	
5	დანერგავს	
6	ხტუნავს	
7	სუნთქავს	
8	ფეთქავს	

გული ახალგაზრდულად ფეთქავს – იგივეა, რაც: გული ახალგაზრდულად ძვერს //ახალგაზრდულად გრძნობს თავს.

1.11. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა:

ნიმუში: გულის გამუდმებით ...ხატვას... სიყვარული არ მოაქვს. [ხატვა]

1. ფულის საავადმყოფოს დახურვა მოჰყვა. [ფლანგვა]
2. პაციენტის მდგომარეობას აფასებენ. [სუნთქვა]
3. გულის გახშირებულმა წნევის ცვლილება გამოიწვია. [ფეთქვა]
4. ავადმყოფობის ცუდი შედეგი მოაქვს. [დამალვა]
5. თვალების ხშირი შეიძლება მხედველობა დაზიანდეს. [ღებვა]
6. ჯანდაცვის სამინისტრო ახალი მეთოდების ხელს უწყობს. [დანერგვა]
7. ორგანიზმის დატვირთვისთვის ხშირად მიმართავენ. [ხტუნვა]

ნაწილი II

სამედიცინო დანახაბულებები

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა / შესიტყვება	მნიშვნელობა
1.	მკურნალობის ეტაპი, რომელიც ინიშნება ოჯახის ექიმის რეკომენდაციით.
2.	საშუალო განათლების მედიცინის მუშაკი, ექიმის თანაშემწე.
მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ობიექტები	3.
პროფილაქტორიუმი	4.
5.	მკურნალობის ეტაპი, რომელიც პაციენტს ეხმარება დაავადების განსაზღვრასა და შემდგომი პროცედურების ჩატარებაში.

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ადამიანებს „პირველადი ჯანდაცვის“ სისტემა ეხმარება, რომელ ექიმს მიმართონ და რა სახის სამედიცინო პროცედურა ჩაიტარონ.	✓	
1	„საოჯახო მედიცინის“ სისტემაში უმთავრესი ყურადღება პაციენტის ოპერაციისათვის მომზადებას ეთმობა.		
2	საქართველოში უკანასკნელ ხანს გაიხსნა პირველადი ჯანდაცვის ცენტრები.		
3	მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ობიექტებს მიეკუთვნება პაციენტთა ტანსაცმლით მომარაგების მაღაზიები.		
4	სპეციალიზებულ საავადმყოფოებს მიეკუთვნება ტრავმატოლოგიის, რეაბილიტაციის ცენტრი, ბავშვთა საავადმყოფო, ინფექციური საავადმყოფო და სხვა.		
5	სპეციალიზირებული საავადმყოფოები აღჭურვილია სპეციალური დაზვერებით.		

6	პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ამბულატორია, პოლიკლინიკა, დისპანსერი, პროფილაქტორიუმი, ორსულთა კონსულტაცია და სხვ.		
7	მეორეულ და მესამეულ ჯანდაცვის ობიექტებში პაციენტებს უტარდებათ ოჯახის ექიმის კონსულტაცია და პირველადი გამოკვლევები.		
8	სპეციალიზირებულ საავადმყოფოებში ხორციელდება მკურნალობა იმ პაციენტებისა, რომელთაც პირველადი ჯანდაცვის ობიექტებიდან აგზავნიან ოჯახის ექიმები.		
9	პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ყველა ქვეყანაში ერთნაირია.		
10	მუნიციპალურ საავადმყოფოებში პაციენტებს უტარდებათ ოჯახის ექიმის კონსულტაცია და პირველადი გამოკვლევები.		

2.3. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები:

ა.

N	რა?	როგორი?
	რადიოლოგია →	რადიოლოგიური
1	რეაბილიტაცია →	
2	ინფექცია →	

ბ.

N	რა?	როგორი?
	ორგანიზაცია →	ორგანიზაციული
1	ლაბორატორია →	
2	ადმინისტრაცია →	
3	თერაპია →	
4	ამბულატორია →	
5	ქირურგია →	
6	ფსიქიატრია →	
7	ქიმია →	

2.4. გამოტოვებულ ადგიდგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: ჯანდაცვის მუშაკთაორგანიზაციულმა საქმიანობამ... სამედიცინო სფერო შედარებით მოაწესრიგა. [ორგანიზაციული საქმიანობა]

1. შედეგად მომაკვდავი ავადმყოფი გადარჩა. [ქირურგიული ოპერაცია]
2. პაციენტს დაუდგინდა დიაგნოზი. [ლაბორატორიული კვლევები]
3. საავადმყოფოს დირექციის შედეგი გამოიღო. [ადმინისტრაციული ღონისძიებები]
4. წელს ექიმთა მხრიდან დარღვევის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. [მორალურ-ეთიკური პრინციპები]
5. ექიმი ამ პაციენტისთვის გეგმავს. [ამბულატორიული მკურნალობა]
6. სასწრაფო დახმარების პაციენტს ძალზე რთული დაავადება აღმოუჩინა. [კარდიოლოგიური სამსახური]
7. შედეგად ბევრმა ადამიანმა გაიხანგრძლივა სიცოცხლე. [ფსიქიატრიული მკურნალობა]

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: ჩვენს ექიმს..... ოქროს ხელები აქვს. [ჩვენი ექიმი]

1. მისმინე, უთხარი, მეტი ყურადღება მოგაქციოს. [შენი ბებიაცალი]
2. ძალიან კმაყოფილი ვარ. [ფერშლის მუშაობა]
3. წარმატებაზე ყველა ლაპარაკობს. [ქართველი ექიმები]
4. გაამარტივა დაავადებათა გამომწვევი მიზეზების დადგენა. [ახალი დიაგნოსტიკა]
5. საბედნიეროდ, მუნიციპალური საავადმყოფო უზრუნველყოფილია [სახელმწიფო დაფინანსება]
6. იცით, დიდხანს დგომის გამო ფეხები დაუსივდა. [თქვენი ფერშალი]
7. სამწუხაროდ, არ ვიტარებ. [პირველადი გამოკვლევები]

მადისონა

- 8.მქონე ავადმყოფის მოვლა ძალზე ძნელია. [ფსიქიატრიული დაავადება]
- 9. წელს სისტემამ ახალი ოჯახის ექიმები მიიღო. [პირველადი ჯანდაცვა]

2.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: დამზადება, გამოჩენა, გაერთიანება, აღმოჩენა, განმარტება.

- 1. ქარხანაში ტრავმატოლოგთათვის მაღალტექნოლოგიური აპარატი
- 2. ჯანდაცვის ახალმა კანონმა ბევრი საკითხი
- 3. ბებიაქალმა მშობიარეს გადაუდებელი დახმარება
- 4. ფსიქიატრმა პაციენტის მიმართ დიდი გულისხმიერება
- 5. პირველადი ჯანდაცვის ექიმები მიწისძვრით დაზარალებულთა თანადგომამ

2.7. წინადადებები გადაიყვანეთ წარსულ დროში; უპასუხეთ კითხვას: რა ქნა?

ნიმუში: ტრავმატოლოგი, რა თქმა უნდა, ავადმყოფს დაეხმარება.
.....ტრავმატოლოგი, რა თქმა უნდა, ავადმყოფს დაეხმარა.....

- 1. ექთნის ფუნქცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განისაზღვრება.
.....
- 2. ჩვენს ქვეყანაში ექიმთა მორალურ-ეთიკური პრინციპები დადგინდება.
.....
- 3. ამ ჰოსპიტალის მედიკოსთა შორისაც აღმოჩნდება ყურადღებიანი ადამიანი.
.....
- 4. ფსიქიატრები ახალი წამლის მიღებას დაელოდებიან.
.....
- 5. პირველადი ჯანდაცვის მიზანი სხვადასხვა დაავადების გამოვლენა იქნება.
.....
- 6. სპეციალიზირებული საავადმყოფოები წელს ერთ ორგანიზაციად გაერთიანდება.
.....

7. ინფექციური დაავადების წინააღმდეგ წელს ახალი მედიკამენტი დამზადდება.

.....

2.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: გარდა და ნაცვლად.

ნიმუში: ამ ექიმისნაცვლად..... დღეს მე ვიმორიგევებ.

1. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ფერშლის მოვალეობის ძველი განმარტების ახალი განსაზღვრება შეიმუშავა.
2. ფსიქიატრს პაციენტის სპეციალიზირებული მკურნალობის მის რეაბილიტაციაზე ზრუნვაც ევალება.
3. ამ მედიკამენტის კიდევ რა მკურნალობა დაგინიშნეს?
4. ექიმების პროფილაქტორიუმში სხვა მედპერსონალიც მუშაობს.
5. გამაგებინე, შენს ექიმთან ვიზიტზე ვინ ჩაწერეს?
6. იმისა, რომ ოჯახის ექიმთან წახვიდე, კომპიუტერთან ზიხარ!
7. არ გრცხვენია? პროფილაქტორიუმში სიარულის ტოტალიზატორში დადიხარ!
8. ამ საავადმყოფოში ორსულთა კონსულტაციის საფერშლო-საბებიო პუნქტიცაა გახსნილი.

2.9. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: თუ, მაშინ..... ; ან: მაშინ....., თუ..... .

ნიმუში: ...თუ... სწორად იმკურნალებ, ...მაშინ... ოპერაცია აღარ დაგჭირდება.

1. ექიმები ჰიპოკრატეს ფიცს სრულად დაიცავენ, უკმაყოფილო პაციენტები აღარ იქნებიან.
2. დავუჭერ ამ რეფორმას მხარს, სპეციალიზირებულ საავადმყოფოთა ინტერესები არ დაირღვევა.
3. გვსურს ევროკავშირში შესვლა, მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ობიექტების მომსახურება უნდა გავაუმჯობესოთ.
4. მჭირდება სასწრაფო დახმარება, რამე მოულოდნელად დამემართა.
5. ფსიქიატრიული საავადმყოფო დაიხურება, რა ეშველებათ პაციენტებს?

მადისონა

- 6. დაინიშნება ოპერაცია, მკურნალობა უშედეგო იქნება.
- 7. სოფლებში საფერშლო-საბებიო პუნქტები არ მოწესრიგდება, მოსახლეობა დიდ გასაჭირში ჩავარდება.
- 8. შეძლებ ექიმად მუშაობას, სამედიცინო უნივერსიტეტს დაამთავრებ.

2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: ამრიგად; მაშასადამე.

ნიმუში: მაშასადამე, რეაბილიტაცია ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის ფუნქციების აღდგენას ნიშნავს. ამრიგად, მუნიციპალური საავადმყოფოები სახელმწიფოს მიერ ფინანსდება.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.

ნაწილი III

მედიცინის მუშაკები

3.1. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1-7] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-გ]:

ნიმუში: პირვანდელი გამოკვლევებიგ.....
გ. ოჯახის ექიმის მიერ ტარდება პირვანდელი ჯანდაცვის ცენტრებში.

- 1. ჯანდაცვის სამინისტრო
- 2. გულისხმიერება
- 3. ჯანსაღი ცხოვრება
- 4. სამედიცინო პრაქტიკა
- 5. პროფესიონალზმი
- 6. დანიშნულება
- 7. ფონენდოსკოპი

- ა. აუცილებელია ფილტვების მოსასმენად.
- ბ. განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებას.
- გ. პასუხისმგებელია სამედიცინო მომსახურებაზე და მუდამ ზრუნავს მის გაუმჯობესებაზე.
- დ. ექიმის ერთ-ერთი მორალურ-ეთიკური პრინციპია.
- ე. ჯანდაცვის სამინისტრო დიდ ფინანსებს დებს ექიმების განათლების ასამაღლებლად.
- ვ. მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ექიმის წარმატების განმსაზღვრელია.
- ზ. ავადმყოფობის განკურნება მის სწორ შერჩევაზე დამოკიდებული.

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ექიმის მოვალეობაა, გამოიკვლიოს პაციენტი, დიაგნოზი დაუსვას და უმკურნალოს.	✓	
1	ყველა ექიმს აერთიანებს მორალურ-ეთიკური პრინციპები: პაციენტებისადმი გულგრილობა, დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა.		
2	ექიმის ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.		
3	საექთნო საქმე არის ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მოვლის სისტემა.		
4	ექიმის მოვალეობაა, გამოიკვლიოს პაციენტი, ჩაუტაროს ანტიანტიბიოტიკული ღონისძიებები და უმკურნალოს.		
5	ექთანი და საექთნო საქმე ძველთა დაცვის შემადგენელი ნაწილია.		
6	ექთნები აქტიურად მონაწილეობენ ჯანდაცვის სისტემის მართვაში.		
7	ექთნის დანიშნულებაა, ყოველ ადამიანს, ავადმყოფსა თუ ჯანმრთელს, აღმოუჩინოს დახმარება ყველაფერში.		
8	საექთნო საქმე გულისხმობს ავადმყოფების მობილიზაციას, სმენისა და ხმის იოგების ვარჯიშს, მომზადებას სახალხო მოსმენისათვის.		
9	დღეს მთლიანად შეიცვალა წარმოდგენა ექთანზე, როგორც ექიმის უბრალო დამხმარებე.		
10	ექთანი აქტიურად მონაწილეობს ყველაფერში, რაც ადამიანის ლოგიკური აზროვნებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უკავშირდება.		

3.3. უპასუხეთ კითხვებს:

ნიმუში: ვინ არის ის, ვისაც პაექრობა უწევს, პაექრობს?

..... *მოპაექრე*.....

1. ვინ არის ის, ვინც ბინაში ცხოვრობს, ბინადრობს?

.....

2. ვინ არის ის, ვინც კამათში მონაწილეობს, კამათობს?

.....

3. ვინ არის ის, ვინც სწავლობს, სწავლას ცდილობს?

.....

4. ვინ არის ის, ვინც რაღაცას ან ვიღაცას ელოდება?

.....

5. ვინ არის ის, ვინც რაღაცას ან ვიღაცას დარაჯობს?

.....

6. ვინ არის ის, ვინც კავშირს ამყარებს, უკავშირდება?

.....

ასეთივე სიტყვებია: მოდავე, მომუშავე, მოქალაქე.

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: ჰოსპიტალში მიღებულმა სამედიცინო პრაქტიკამ დიდი გამოცდილება მომცა.

[სამედიცინო პრაქტიკა]

1. ამ ფარმაცევტის კონკურსში გაიმარჯვა. [ერთ-ერთი მოსწავლე]

2. ექიმო, პაციენტს სკამზე დაეძინა. [თქვენი მომლოდინე]

3. ამ ოპერაციაში ექიმმა დიდი დახმარება გამიწია. [ჩემი მოკავშირე]

4. ამ პაციენტის ავადმყოფობის შესახებ დასასრული არ ექნება. [ჩვენი კამათი]

5. დაცვა ყველა ექიმს აერთიანებს. [მორალურ-ეთიკური პრინციპები]
6. წესის დაცვა ყველა ადამიანის მიზანი უნდა იყოს.. [ჯანსაღი ცხოვრება]
7. რადიოლოგი საბოლოოდ განკურნავს. [ჩემი ჯანმრთელობა]
8. წყლის დაღვევა ითხოვა. [მომაკვდავი პაციენტი]
9. ექთანი სრულუფლებიანი წევრია. [სამედიცინო გუნდი]
10. მედიცინის სპეციალისტთა შეთანხმებულმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო. [სხვადასხვა დარგი]

3.5. გამოიყენეთ -ზე და -ში თანდებულები და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები:

ნიმუში: სამედიცინოობიექტებში..... პაციენტებს გულისხმიერებით ეპყრობიან. [ობიექტები]

1. ომში დაჭრილი ჯარისკაცი მოათავსეს. [ჰოსპიტალი]
2. ზრუნვა ყველა ექიმის მოვალეობაა. [ავადმყოფი]
3. სამედიცინო ზედამხედველობა ჯანდაცვის სამინისტროს ევალება. [ობიექტი]
4. აზობებს, ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის მიხვიდე. [ცენტრი]
5. არ დაგავიწყდეს, დღეს ფილტვების ხარ ჩაწერილი. [მოსმენა]
6. ჩვენი საავადმყოფოს ექიმები თავის პირველები არიან. [საქმე]
7. კლინიკის ბევრი პაციენტი იცდის. [მიმღები]
8. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიგვიწვია. [ღონისძიება]
9. სტუდენტები დასასწრებად ემზადებიან. [ოპერაცია]

3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით:

ნიმუში: ფსიქიატრის დანიშნულიმკურნალობის წინააღმდეგ..... პრეტენზია არ მაქვს. [მკურნალობის წინააღმდეგ]

1.
[ჩვენ წინააღმდეგ]
2.

მადისონა

[მათ წინააღმდეგ]

3.

[ობერაციის წინააღმდეგ]

4.

[პროფილაქტიკის წინააღმდეგ]

5.

[ნარკომანიის წინააღმდეგ]

3.7. გაასწორეთ შეცდომები:

ნიმუში: სტუდენტობა აუდიტორიის წინ გამოჩენილი ექიმის მისვლას უცდიდნენ.

.....სტუდენტობა უცდიდა.....

1. ექიმო, თქვენ დანიშნულებას აუცილებლად შევასრულებ.

.....

2. რა ვქნა, შენ გამოკვლევებს ვერ ვენდობი.

.....

3. აჯობებს, რომ ჩვენ ფსიქიატრიულ დაწესებულებებს ყურადღება მივაქციოთ!

.....

4. ავადმყოფის სიკვდილის გამო გამძვინვარებული ბრბო საავადმყოფოს მიაწყდნენ.

.....

5. ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებმა თავი იჩინა.

.....

6. ჩვენ ოჯახის ექიმს ბევრი პაციენტი ჰყავს.

.....

7. თქვენ მდგომარეობას დღეს კლინიკაში განიხილავენ.

.....

3.8. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები:



ხელი შეუწყო _ დაეხმარა.
ხელი შეუშალა _ წინააღმდეგობა გაუწია.
ხელი მოჰკიდა _ საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.
ხელი დაიბანა _ საქმეში არ ჩაერია, განზე გადასა.

ნიმუში: ექთანმა ხელი მოჰკიდა მომაკვდავი ავადმყოფის მოვლას.

1.

[ხელი შეუწყო]

2.

[ხელი შეუშალა]

3.

[ხელი დაიბანა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები:

საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში მომაკვდავი ავადმყოფი იწვა. მასთან სანახავად მისულ სტუდენტებს ექიმი უხსნიდა, რომ ეს პაციენტი ჯანსაღი ცხოვრების წესს არ მისდევდა, სვამდა და სიგარეტს ეწეოდა. ამ ყველაფერმა
..... მისი დაავადების დაჩქარებას. ავადმყოფი ექიმს შეჰყურებდა და თვალებით შევლას ითხოვდა. ექიმმა იგრძნო პაციენტის თხოვნა და მას შემდეგ დიდი გულისხმიერებითა და მზრუნველობით მის მკურნალობას.

თავი III მედიცინის დარგები

ნაწილი I

მედიცინის დარგთა კლასიფიკაცია

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1.	ორსული ქალის მშობიარობა და მისი მოვლა
2.	ძირითადი, მთავარი
3.	ავადმყოფური გადახრა ნორმისგან, არანორმალურობა, სიმახინჯე
ინტერდისციპლინური საქმიანობა	4.
ტექნოლოგიური საუკუნე	5.

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ქალის მშობიარობისას ინტერდისციპლინარულ აპარატურას იყენებენ.		✓
1	ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, პათოლოგიური ანატომია და სხვა ფუნდამენტური მეცნიერებები პრაქტიკული მედიცინის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.		
2	პრაქტიკული მედიცინა ავადმყოფის პროფილაქტიკურ გამოკვლევებს გულისხმობს.		
3	დღეს არსებული უამრავი სამედიცინო სპეციალობა სწორედ სამი ძირითადი დარგიდან წარმოიშვა.		
4	სამი დარგიდან წარმოიშვა უამრავი სამედიცინო სპეციალობა: თერაპიიდან – ფილოლოგია, ენათმეცნიერება, გნოსეოლოგია და ა.შ.; ქირურგიიდან – ბიოქიმია, მეღვინეობა და სხვ.; მეანობიდან – პალეონტოლოგია, ჰომეოპათია და ა.შ.;		

5	მედიცინაში ფართოდ შეიჭრა თანამედროვე ტექნოლოგიური საუკუნე.		
6	პრაქტიკულ მედიცინაში ტრადიციულ მეთოდებს მიჰყვებიან და აღარ იყენებენ უახლეს აპარატურას.		
7	მეანობა ჰუმანიტარული მეცნიერების დარგია და ადამიანის სულიერ მდგომარეობას შეისწავლის.		
8	ამ ადამიანს პათოლოგია აღმოაჩნდა, სამი თირკმელი აქვს.		
9	დღეს ევროპის ბევრ ქვეყანაში ოპერაციებს რობოტები აკეთებენ.		
10	ბაზისური ცოდნის გარეშეც შესაძლებელია კარგი ექიმი გახდე.		
11	მედიკოსთა ინტერდისციპლინური საქმიანობა ადამიანს სიცოცხლეს ნაადრევად უსპობს.		
12	წლევანდელი სტატისტიკური კვლევებით დადასტურდა, რომ ქართველმა ექიმებმა უფრო მეტი ტექნოლოგიური მიღწევები აითვისეს.		
13	დღეს კარგი სამედიცინო განათლების მიღება მხოლოდ თეატრალურ უნივერსიტეტშია შესაძლებელი.		
14	ძველად ამბობდნენ, რომ მედიცინა, ისევე როგორც ასტროლოგია, სამ დრაკონზე დგას.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: საყოველთაობ..... ბ. ყველასთვის განკუთვნილი.

1. ორსული
2. შეჭრა
3. დადასტურება
4. მეანი
5. გამოკვლევა
6. გაფართოება

მადონა

- ა. იგივეა, რაც სიდიდის, ზომის ზრდა.
- ბ. იგივეა, რაც შესწავლა (მედიცინაში სხვადასხვა მეთოდებით ანალიზების აღებით, დიაგნოსტიკური საშუალებების გამოყენებით და სხვ.).
- გ. იგივეა, რაც ფეხმძიმე.
- დ. იგივეა, რაც მოულოდნელად, სწრაფად შესვლა, შევარდნა.
- ე. იგივეა, რაც რამეზე დათანხმება, დამოწმება.
- ვ. პირი, რომელიც ეხმარება ქალს მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები:

	[ვინმეს ან რაიმეს] მქონე	[ვინმეს ან რაიმეს] არმქონე
	ჭკვიანი	უჭკუო
1	საფუძვლიანი	
2	ხალათიანი	
3	შვილიანი	
4	წამლიანი	
5	სისხლიანი	
6	ძარღვიანი	
7	გულიანი	
8	თავიანი	
9	აბრიანი	
10	ტვინიანი	

1.5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: მაგ., ექიმებსუთავო მხედრის..... არსებობის არ სჯერათ. [უთავო მხედარი]

- 1. ამ პაციენტის ადვილია სისხლის ანალიზის აღება.
[ძარღვიანი ხელები]
- 2. ძალზე ძნელია, როცა ავადმყოფს გულქვა და აქვს ურთიერთობა. [უგულო ექიმი]

3. მედიკოსთა პაციენტი სიკვდილს გადაარჩინა.
[აზრიანი გადაწყვეტილება]
4. დღეს კლინიკებში ლაბერის გამოყენებით ჩატარება
არავის უკვირს. [უსისხლო ოპერაცია]
5. სამედიცინო სფეროში „სტერილურს“ უწოდებენ. [უტვინო
სტუდენტი]
6. არ გადამრიო! აპირებ ჭამას? [წამლიანი ხელები]
7. არ გაგიკვირდეთ, ზოგიერთ თანამედროვე კლინიკაში ნახავთ. [უხალათო
ექიმები]
8. კონსულტაციისათვის გინეკოლოგსა და ენდოკრინოლოგს
მიმართეს. [უშვილო ცოლ-ქმარი]

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნაცვალსახელები: თვით, თავად ან თითოეული.

1.ექიმი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.
2. გინეკოლოგი ირჩევს მკურნალობის საკუთარ მეთოდს.
3. ანგიოლოგმა მოუსმინა პაციენტს და მოითხოვა მისი გასინჯვა.
4. შეცდომებს გამოჩენილი ქირურგიც კი უშვებს.
5. ქალი ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდეს, განსაკუთრებით კი — ორსული.
6. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მოიწონა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში
ჩატარებული რეფორმები.
7. უნდა დაფიქრდეს, რამდენად სასარგებლო იქნება მისი ჯანმრთელობისთვის წონაში
დაკლება.
8. ოპერაციის დამთავრებას თუ დაელოდები, ნახავ შენს მეგობარს.
9. ექიმისათვის მნიშვნელოვანია პაციენტის სიცოცხლე.

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნაცვალსახელები: ყოველი ან თვითონ.

1. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ჩვენგანმა წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა.
2. პაციენტი მიხვდა, რომ წნევა უნდა გაეზომა.
3. ამ საავადმყოფოს ექიმი საკუთარ საქციელზე აგებს პასუხს.
4. დაავადებას სპეციფიკური მკურნალობის მეთოდი აქვს.
5. პედიატრს , მშობლების გარეშე, უნდა ბავშვის ჩივილების მოსმენა.
6. მე გადავწყვიტე, სასწრაფო დახმარების გამოძახება.
7. მედიცინის მუშაკმა თავისი საქმე ძალიან კარგად უნდა იცოდეს.
8. შენ უნდა აირჩიო, სამედიცინო უნივერსიტეტში გინდა სწავლა, თუ კაფეში მიმტანად მუშაობა.
9. მოხუცებზე ზრუნვა ჩვენგანის მოვალეობაა.

1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით -დან და -კენ თანდებულები.

დღეს ჩემს მეგობარს ოპერაციას უკეთებენ. დილი.... უნდა მოვწესრიგდე, რომ არ დავაგვიანო. თბილისის ქუჩების საცობები რამდენ დროს დამაკარგვინებს, არ ვიცი. ამიტომ სახლი..... ადრინადად გამოვედი და გაჩერებაზე კლინიკის..... მიმავალ ტრანსპორტს დაველოდე. მალე ავტობუსი მოვიდა და საავადმყოფოს..... მიმავალ გზას დაადგა. ვნერვიულობდი, მინდოდა, ოპერაციამდე მენახა ჩემი მეგობარი და გამემხნეებინა. როგორც იქნა მივალწიე, კლინიკის..... ჩემსავით ბევრი გულშემატკივარი მიიჩქაროდა. საათს დავხედე, მაგვიანდებოდა, ლიფტის.... გავიქეცი, თუმცა იქი..... იმდენი ხალხი გამოდიოდა, რომ ლოდინს აზრი არ ჰქონდა. კიბეებზე ავირბინე, გული ამოვარდნაზე მქონდა. პალატის..... უკანმოუხედავად გავიქეცი, ვერც კი შევამჩნიე იქ მყოფი ჩემი სხვა მეგობრები. პალატი..... ყველა გამოეშვათ, საოპერაციოს.... აპირებდნენ პაციენტის წაყვანას. იმედს არ ვკარგავდი. უცბად კარი გაიღო და ჩემს მეგობარს მოვკარი თვალი. მანაც დამინახა, აქეთ.... იყურებოდა, სიხარულს ვერ მალავდა. მივხვდი, რომ ეს ერთი წუთი მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მეც ბედნიერი ვიყავი.

1.9. შეავსეთ უჯრები და უპასუხეთ კითხვას რა?

N	რას იზამს?	რა?
	განასკვავს →	განასკვა
1	განახორციელებს →	
2	განაცხადებს →	

3	განათავისუფლებს →	
4	განაცვიფრებს →	
5	განკურნავს →	
6	განამტკიცებს →	
7	განიკითხავს →	
8	განიზრახავს →	

1.10. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით:

ნიმუში: სამსახურში ... შენი განკურნების ამბავი რომ შევიტყვე, ძალიან შევწუხდი.

[შენი განკურნების]

1.
[ექიმის განცვიფრება]
2.
[ავადმყოფის განკითხვა]
3.
[სიტყვით განმტკიცება]
4.
[მედიკოსთა განცხადება]
5.
[პაციენტის განზრახვა]

მედიცინის სამი ძირითადი დარგი

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1.	თერაპიაში დასაქმებული სპეციალისტი
2.	სამეანო გუნდის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა
3.	ბავშვის გაჩენის პროცესი
სკალპელი	4.
ფიზიოლოგიური პროცესი	5.

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	თერაპიაში დასაქმებულ სპეციალისტებს „თერაპევტებს“ უწოდებენ.	✓	
1	უსისხლო ოპერაციის შემთხვევაში ხდება კანისა და ქსოვილების პინცეტით დაჩხვლეტა.		
2	ოპერაცია შეიძლება იყოს სისხლიანი და უსისხლო, ღია და დახურული, ზრდასრული და ახალგაზრდული.		
3	თერაპევტებს საავადმყოფოსა და ამბულატორიაში მისული ავადმყოფების მოვლაში ეხმარებიან ზოგადი პროფილის მედდები.		
4	ქირურგია ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მოძალადეს.		
5	ქირურგიული ოპერაციების დროს იყენებენ სკალპელს.		
6	თერაპევტები სხვადასხვა ტიპის დაავადებებს დიფერენცირების გარეშე მკურნალობენ.		
7	მეანობა მედიცინის დარგია, რომელიც გულსისხლძარღვთა ფუნქციებს სწავლობს.		

8	ძველი თაობის შეხედულებით, ბებიაქალი მშობიარე ქალს ექიმზე უკეთ უვლის.		
9	თერაპევტები ძირითადად მედიკამენტებით მკურნალობენ.		
10	კარდიოლოგია მედიცინის ყველაზე ფართო და მნიშვნელოვანი დარგია.		
11	თერაპევტები მჭიდროდ თანამშრომლობენ ფარმაცევტებთან.		
12	ქირურგიული ოპერაცია საოპერო გუნდის დახმარებით ტარდება.		
13	მშობიარობა ფიზიოლოგიური პროცესია.		
14	ზოგადი პროფილის ქირურგები სხვადასხვა სახის ოპერაციებს აკეთებენ.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: ქსოვილიბ..... ბ. აქ: აგებულებითა და ფუნქციებით მსგავსი უჯრედების ერთიანობა.

1. პრევენცია
2. ფიზიოლოგიური პროცესი
3. სკალპელი
4. ჩასახვა
5. სამედიცინო პროფილი

- ა. განაყოფიერების პროცესი.
- ბ. სამედიცინო მიმართულება, განხრა.
- გ. წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.
- დ. ქირურგიული ოპერაციის ჩასატარებელი იარაღი.
- ე. ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორ? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები:

N		როგორ?
	წესის მიხედვით →	წესისამებრ
1	თქვენ მსგავსად →	
2	შეხედულების მიხედვით, მის მსგავსად →	
3	ჩვეულების მიხედვით, მის მსგავსად →	
4	დანიშნულება მიხედვით, მის მსგავსად →	
5	ჩემ მსგავსად →	
6	სურვილის მიხედვით, მის მსგავსად →	

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები:

ნიმუში: ხომ ხედავ, ...დაპირებისამებრ მოვედი.... და არ დავაგვიანე. [დაპირებისამებრ მოსვლა]

1. მხოლოდ შეუძლია ადამიანს ავადმყოფობა დაამარცხოს. [ჩემებრ ბრძოლა]
2. საავადმყოფოს სადავო საკითხი. [შეხედულებისამებრ გადაწყვეტა]
3. ექიმმა ავადმყოფი. [წესისამებრ გამოკვლევა]
4. თერაპევტის მიერ შედგენილ ჩემი მკურნალობის გრაფიკს
[დანიშნულებისამებრ შესრულება]
5. შენ ხომ საკუთარი ჯანსაღი ცხოვრების წესს. [სურვილისამებრ არჩევა]

2.6. აავსეთ წინადადებები მოცემული წყვილებით:

ნიმუში: თერაპევტები, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ...ფარმაცევტებთან თანამშრომლობენ....
[ფარმაცევტებთან თანამშრომლობა]

1.
[ქირურგის გადაწყვეტილება]

2.
[საავადმყოფოს პროფილი]
3.
[სხვა დარგები]
4.
[ფიზიოლოგიური პროცესი]
5.
[ქსოვილების გაკვეთა]
6.
[დაავადებათა მკურნალობა]

2.7. ა) პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: *უმკურნალია, შეუსწავლია, დაუმუშავებია, დაუმზადებია.*

ნიმუში: *ახლანდელი*

წარსული

მე ვამზადებ	ჩვენ ვამზადებთ	მე დავამზადე	ჩვენ დავამზადეთ
შენ ამზადებ	თქვენ ამზადებთ	შენ დაამზადე	თქვენ დაამზადეთ
ის ამზადებს	ისინი ამზადებენ	მას დაუმზადებია	მათ დაუმზადებიათ

1.

ახლანდელი

წარსული

მე ვმკურნალობ	ჩვენ	მე მიმკურნალია	ჩვენ
შენ	თქვენ	შენ	თქვენ
ის	ისინი	მას	მათ

2.

	ახლანდელი	წარსული	
მე ვსწავლობ	ჩვენ	მე შემისწავლია	ჩვენ
შენ	თქვენ	შენ	თქვენ
ის	ისინი	მას	მათ

3.

	ახლანდელი	წარსული	
მე ვამუშავებ	ჩვენ	მე დამიმუშავებია	ჩვენ
შენ	თქვენ	შენ	თქვენ
ის	ისინი	მას	მათ

2.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: უმკურნალა, შეუსწავლია, დაუდგენია, განუხორციელებია, ჩამოუყალიბებია, დაუმარცხებია, გამოუჩენია.

1. ბებიაქალს მშობიარის მდგომარეობა გულმოდგინედ
2. ავადმყოფს დიდი რწმენით თავისი დაავადება
3. ამბობენ, რომ ამ ექიმს პაციენტის მიმართ დიდი ყურადღება
4. ნანას დიდხანს არ
5. ქირურგს გამოკვლევების მიხედვით, ავადმყოფის ორგანიზმში პათოლოგიური პროცესები
6. ჯანმრთელობის სამინისტროს რეფორმები ჯერ არ, რადგან ჯანდაცვის სისტემა ამისათვის მოუმზადებელი იყო.
7. ექიმთა ბრიგადას ოპერაციის განხორციელების გეგმა უკვე

2.9. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: *რა თქმა უნდა; რასაკვირველია.*

ნიმუში: მედიცინა, რასაკვირველია, მუდმივად ვითარდება.

რა თქმა უნდა, ფიზიოლოგიური პროცესების სწორი მიმდინარეობა განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას.

1.
2.
3.
4.

2.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *ისე...., როგორც; ან: როგორც, ისე... .*

ნიმუში: გინეკოლოგმაისე.... ამშობიარა ქალი,როგორც..... მდგომარეობა მოითხოვდა.

1. პაციენტის ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესი მიმდინარეობდა, მკურნალობით იყო განსაზღვრული.
2. მოქმედებდა საოპერაციო მედდა, ქირურგს სურდა.
3. ეს ქირურგი ოსტატურად კვეთს სკალპელით პაციენტს, კარგი მხატვარი ფუნჯის მოსმით ქმნის საუკეთესო ნახატს.
4. მუშაობენ ზოგადი პროფილის მედდები, თერაპიული განყოფილების სრულუფლებიანი წევრები.
5. ნეიროქირურგი გადაწყვეტს, ჩვენც ვიმოქმედებთ.
6. მკურნალობის დაწყება, შენ გსურს, არ შეიძლება.
7. მედიცინის დარგებია დიფერენცირებული, საავადმყოფოებიც არის დაყოფილი.
8. ავადმყოფი სუნთქავდა, პულმონოლოგი მოითხოვდა.
9. ექიმო, მირჩიეთ, მოვიქეცი.
10. მისი ავადმყოფობა განვიცადე, საკუთარი.

პალიატიური მკურნალობა და ჰოსპისი

3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1.	სალოცავად მიმავალი მორწმუნე, მოხეტიალე მლოცველი, უცხო მგზავრი
2.	სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მძიმე, ქრონიკული, ხშირად უკურნებელი სენით არიან დაავადებულნი
3.	დაავადების ხანგრძლივი ან მუდმივი ფორმა
ჰოსპისი	4.
ჰოსპისური მზრუნველობა	5.

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	პალიატიური მკურნალობა უტარდებათ მძიმე, ქრონიკული, ხშირად უკურნებელი სენით დაავადებულებს.	✓	
